პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 52 (1222) | ხუთშაბათი, 1 მაისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო მაჯჩი

ვ. სმისლოვის ხუთდღიანი ავადმყოფობის შემდეგ, 29 აპრილს განახლდა მატჩ-რევანში მსოფლიო ჩემპიონის სახელზე. ამ დღეს შედგა XX პარტია, რომელშიც თეთრებით ბოტვინიკი თამაშობდა.

ბოტვინიკმა ბრძოლა კვლავ ნაცადი დებიუტით — ინგლისური დაცვით დაიწყო, მაგრამ სმისლოვმა უკვე მე-2 სვლიდან გადაუხვია ნაცნობ გზას და თამაში წარმართა ჰოლანდიური დაცვის (ლენინგრადის ვარიანტად ცნობილი) სქემის მიხედვით. ჩვეულებრივ თამაშის ეს გაგრძელება ნაკლებადაა შესწავლილი, მაგრამ ბოტვინიკმა კარგად განალაგა ფიგურები და დაეუფლა ცენტრს. მე-14 სვლისათვის მისი პოზიციური უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა.

შემდგომ სმისლოვმა შეძლო კონტრთამაშის წამოწყება მეფის ფრთაზე. მაგრამ ექს-ჩემპიონმა ცენტრში მხედრის შეყვანით ახალი სისუსტეები შექმნა შავების განაკში. დიდება გადამწყვეტ დრო უპირატესობის რეალიზაციისათვის. სწორედ აქ ბოტვინიკმა გაუბედაობა გამოიჩინა და პასიური გაგრძელება აირჩია. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა სმისლოვმა, რომელმაც სწრაფად შეიყვანა ლაზიერი თამაშში.

ბოტვინიკი უკვე ამ დროისათვის მოსაფიქრებელი დროის სიმცირეს განიცდიდა. ამიტომ მან ჯერეოენად ვერ შეიფასა დაბოლოებაში გადასვლა და იჩქარა ლაზიერების გაცვლით. გამოვიდა დაბოლოება, რომელშიც სმისლოვის შანსები უკეთესი აღმოჩნდა.

მეტოქეები ყოველი სვლით აუმჯობესებდნენ ფიგურების განლაგებას. მათ ცენტრში გამოიყვანეს მეფეები, მხედრებს კარგი „სადგომები“ მიუჩინეს. სმისლოვმა მეტიც გააკეთა — მან ეტლით დაიკავა ღია ხაზი. ამ პოზიციაში პარტია გადიდო.

გუშინ, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოხდა ამ პარტიის დამთავრება. მცირე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 11,5:8,5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ

ჩვენი ჯილდო განთიადისა

სურათზე: ჩვენი „გაზეთის ჯილდო, რომელიც მოიპოვა „განთიადის“ გუნდმა.

◆

კარგი ამინდი დაიჭირა ფოთში 25 აპრილს. აქ საქართველოს სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნიჩბოსნობაში ჩვენი გაზეთის ჯილდოს მოსაპოვებლად. შეჯიბრება მიზნად ისახავდა რესპუბლიკის უძლიერეს ნიჩბოსანთა გამოვლინებას საქართველოს ნაკრებისათვის, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საკავშირო პირველობის. ამირკავკასიის ზონალურ შეჯიბრებაში.

ჯილდოსათვის ბრძოლის ტონის მიმცემი აღმოჩნდნენ ერთმოსაძმელიანი ბაიდარებით 500 მეტრზე გაცურვის მონაწილე მამაკაცები. სტარტიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო ბურევესტნიკელმა ი. ზელენსკიმ, რომელმაც 17 წამით უკეთესი დრო ინვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გამოსულმა ნ. უსატიმ („ვოდნიკი“) — 2.28,9 გამოცდილი სპორტსმენი ზ. მაჩხანელი („განთიადი“) იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

დასაწყისი თითქოს კარგს არაფერს უქადდა „განთიადის“ ძლიერ გუნდს, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო მცხეთელი და ბათუმელი სპორტსმენებისაგან, მაგრამ პირველი პროგნოზები არ გამართლა შეჯიბრების მსვლელობამ. უკვე მეორე გაცურვაში ამავე დინსტანციაზე ორმოსასმელიანი ბაიდარებით, დაძაბულ ბრძოლაში ნავის მხოლოდ ნახევარი კორპუსით მიასწრეს ფინიშზე ვ. ფირალოვმა და გ. ზანდუკელმა („განთიადი“) საქართველოს ჩემპიონებს შ. ჭედიასა და ნ. ბაიდანოვს („ვოდნიკი“). ეს გამარჯვება განპირობა მხოლოდდამხოლოდ კარგად დამუშავებულმა ფინიშმა. ამ გაცურვაში „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებიდან მოხსნა დისტანციაზე წესის დარღვევისათვის.

სპორტულად საინტერესოდ წარიმართა ვაჟთა შეჯიბრება ერთმოსასმელიანი ბაიდარებით სტაიერულ დისტანციაზე—10.000 მეტრზე. აქ გამარჯვებისათვის იბრძოდნენ რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი 1000 მეტრზე ვ. საზონოვი, რომელიც გასულ წელს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ხუთეულში შედიოდა და რესპუბლიკის ჩემპიონი ამ დისტანციაზე ვოდნიკელი ვ. ბაიდანოვი. საზონოვმა ბრწყინვალედ ჩაბარა ეს რთული გამოცდა, იგი მესტარტის ნიშნისთანავე წინ გაიჭრა, ხოლო ბაიდანოვმა ისღა მოახერხა, რომ ტალღაზე „დაჯდომოდა“ საშუ მოწინააღმდეგეს და ხელსაყრელ მომენტში მძლავრი ბიძგით აენაზღაურებინა დაკარგული მეტრები. მან ამოცანა კიდევაც განახორციელა მეხუთე კილომეტრზე, მაგრამ ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა. შეჯიბრება დამთავრდა საზონოვის („ბურევესტნიკი“) გამარჯვებით.

ვიდრე სტაიერული დისტანციის მონაწილენი ბრძოლას განაგრძობდნენ, სტარტზე მოეწყვნენ ქალები ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე. ეჭვი არავის ეპარებოდა საქართველოს არაერთგზის ჩემპიონების, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სპარტაკიადაზე პირველ ადგილზე გამოსულ, გ. და ფ. ბაიდანოვების („ვოდნიკი“) გამარჯვებაში. მაგრამ გამოცდილმა სპორტმენებმა ტაქტიკურად არასწორად აგეს ბრძოლა, ჩამორჩნენ სტარტზე და საშუალება მისცეს „განთიადის“ ახალგაზრდა წარმომადგენლებს ლ. დეგტიარევასა და კ. სისაურს წინ გაჭრილიყვნენ. ფინიშამდე რამდენიმე მეტრზე ვოდნიკელებმა სცადეს სტარტზე დაკარგული მეტრების მოგება, საკმაოდ მიუახლოვდნენ კიდეც წინწასულებს, მაგრამ უკვე გვიან იყო. ზედიზედ გაისმა ზარის ხმა ფინიშზე. პირველი იტყობინებოდა განთიადელების გამარჯვებას, ხოლო მეორე—ვოდნიკელების დამარცხებას, რომლებიც 0,2 წამით ჩამორჩნენ მოწინააღმდეგეებს.

ამ დღეს მოეწყო, აგრეთვე შეჯვედრები ორმოსასმელიანი კანოეთი 1000 და ბაიდარებით 10.000 მეტრზე. იმის გამო, რომ ნიშნების გადაცემა ხდებოდა თეთრი ალმებით, რაც ცუდად ჩანდა ცის თეთრ ფონზე, აგრეთვე ფინიშზე თავს იყრიდა ხალხი, რაც ხელს უშლიდა მსაჯების ნორმალურ მუშაობას, პირველ გაცურვაში შეჯიბრება დაიწყო წამმზომების მიერ დროის აუღებლად. ამის გამო სამივე მონაწილის შედეგი განსაზღვრული იქნა ერთი მსაჯის მიერ, რომელიც მოტორიანი ნავით მოსდევდა სპორტსმენებს.

ორადგილიანი ბაიდარით 10.000 მეტრზე შეჯიბრების სტარტზევე „დაითარსნენ“ ბურევესტნიკელები — ნიჩაბი გაუტყდათ. სტარტი შედგა განმეორებით. ეს დისტანცია 47.48,0-ში დამთავრეს რესპუბლიკის უძლიერესმა სპორტსმენებმა ნ. გიგაურმა და ლ. აღხაზოვმა, რომლებიც „განთიადის“ ინტერესებს იცავდნენ

იმ დამეს წვიმა დაიწყო. ზღვის მოქცევის გამო რიონის დონემ საგრძნობლად იიწია, მაგრამ შეჯიბრება ოდნავადაც არ შეფერხებულა. როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები გამოუტანიათ პირველი დღის შეცდომებიდან, როგორც მონაწილეებს, ისე მსაჯებს და ღონისძიება მაღალ დონეზე ჩატარდა.

პირველი დამარცხების შემდეგ „ბურევესტნიკის“ ნიჩბოსნებმა ზედიზედ სამი პირველი ადგილი მოიპოვეს ერთ, ორ და ოთხმოსასმელიანი ბაიდარებით ერთ კილომეტრზე და საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა საერთო გუნდურ ჩათვლაში. სამაგიეროდ სუსტად

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

მოიპოვეს უძლიერესის სახელი

დღეს დიადი საბჭოთა ქვეყნის მშრომელი ხალხი სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში გამოდის და ზეიმით აღნიშნავს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის, ყველა ქვეყნის მუშათა ურღვევი ერთიანობის დღეს — 1 მაისს.

კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში მოპოვებული შრომითი, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წარმატებების შეგნებით, ამაყად ხვდება საბჭოთა ხალხი ამ დიდ დღესასწაულს, მას მიუძღვნეს წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული შრომითი გამარჯვებები ჩვენმა სახელოვანმა მუშათა კლასმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ.

და აი, ეს მიღწევები — ლოზუნგებზე, ტრანსპარანტებზე, პლაკატებზე ასახულნი, რომლებიც მოავლის რწმენით აღსავსე ადამიანებს საპატაკოდ მიაქვთ დიადი კომუნისტური პარტიისა და შშობლიური საბჭოთა მთავრობის წინაშე, თვალნათლივ მეტყველებენ იმაზე, თუ რა ენთუზიაზმით გამოეხმაურა საბჭოთა ხალხი ლენინური ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს, რა მხურვალედ მოიწონა ისინი და ცხოვრებაში განხორციელებას შეუდგა.

სადღესასწაულო ზეიმზე გამოსულ მშრომელთა რიგებში არიან საბჭოთა სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც, ფიზკულტურელთა მასები, რომლებიც მშობლიურ პარტიასა და მთავრობას ფიზკულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობაში მოპოვებულ ახალ-ახალ წარმატებებსა და მიღწევებს უპატაკებენ. ეს საბჭოთა სპორტსმენთა, ფიზკულტურელთა წმიდათა-წმიდა ვალია, დირსეული პასუხია იმ დიდი ზრუნვისა და ყურადღებისა, რითაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოსავს ფიზკულტურულ მოძრაობას, საბჭოთა სპორტის შემდგომი განვითარების საქმეს.

ჩვენი სპორტსმენები, ფიზკულტურის მუშაკები საზეიმო პიროობას აძლევენ ხალხს, სამშობლოს, პარტიას, რომ ეს ახალი სპორტული ხეზონიც აღინიშნება საბჭოთა სპორტის დიდებით, საბჭოთა ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვაში მოპოვებული ახალ-ახალი გამარჯვებებით.

საამისოდ კი წინ ფართო და დიდი ასპარეზია გადაშლილი: პროფკავშირელ და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები, სტუდენტთა თამაშები, ჩვენი ქვეყნის პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობის მიღება. ყველა ეს ღონისძიება ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის მძლავრი განვითარების, ახალ რეკორდი, ახალ გამარჯვებათა სამჭედლო და საწინდარია.

საზეიმო აღლუმზე გამოსულ საბჭოთა კავშირის ფიზკულტურელთა გრანდიოზულ დემონსტრაციაში ფეხაწყობილნი, წელგამართულნი მოდიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, ფიზკულტურელები. მათ, მოძმე ხალხების სპორტსმენებთან ერთად, სასახელოდ იშრომეს მშობლიური სპორტის დიდებისათვის და ახლა მის საზეიმო ნაყოფებს იმკიან.

დაე, კიდევ მაღლა ასწიონ მათ საბჭოთა სპორტის დიდებით მოსილი დროშა!

დაე, კომუნიზმის მშენებლობის გზაზე მოპოვებულ გამარჯვებებთან ერთად იზრდებოდეს და მრავლდებოდეს მათი სპორტული წარმატებები!

დიდება კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს და მის ავანგარდს, წარმმართველ და მაორგანიზებელ ძალას — საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო ხოლიდარობასა და ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს — პირველ მაისს!

ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ

მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

პირველ დღეს საქართველოს კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი ზ. მჭედლიშვილი, ნ. გოგიბედაშვილი, გ. ჯინჭარაძე, ვ. რუბაშვილი, ე. შეყრილაძე, ა. გვიმრაძე და სხვები, დაძაბულ ბრძოლაში (5:3) დაამარცხა აზერბაიჯანელი მოჭიდავეები, ხოლო შემდეგ ადვილად სძლია უზბეკეთის წარმომადგენლებს — 7:1.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტთან, მოსკოვის გუნდთან.

დაძაბული გამოდგა ქვემსუბუქი წონის სპორტსმენების ი. ივანოვისა და ა. გვიმრაძის ორთაბრძოლა. გვიმრაძემ მხოლოდ არასათანადო აქტივობის გამო დაჰკარგა გამარჯვება. საშუალო და ქვემძიმე წონაში დავლიანიძემ და გოგიბედაშვილმა დაამარცხეს თავიანთი მოწინააღმდეგეები, მაგრამ გუნდმა მეტის გაკეთება ვერ შეძლო და წააგო შეხვედრა 3:5.

შემდეგში საქართველოს წარმომადგენლებმა ძლიერად ჩაატარეს დარჩენილი შეხვედრები და მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადელები, მესამეზე — რსფსრ-ს მოჭიდავეები.

ᲐᲥ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲛᲝᲒᲐᲕᲐᲚᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სპორტული...

თბილისის 35-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელთა ყოველდღიურ ცხოვრებას რომ დააკვირდეთ, უთუოდ გაგაოცებთ უჩვეულო ამბები: აი, უკანასკნელი გაკვეთილის დამთავრების ზარი დაირეკა. უფროსკლასელთა ერთი ნაწილი აუჩქარებლად, დინჯად გამოდის შენობიდან და იქვე, მოპირდაპირე მხარეს, ათოდოდ მეტრზე მდებარე მეორე შენობაში შედის. ჩვეულებრივ, ამ შენობიდან გამოსულთ მათ ვეღარ ნახავთ მეორე დილამდე, სახლისაკენ, შინისაკენ წასვლა არცერთ მათგანს არ ეჩქარება. რატომ? იმიტომ, რომ ეს შენობაა სწორედ მათი სახლი, მათი „შინ“.

ზუსტად ერთი თვეა, რაც თბილისის 35-ე საშუალო სკოლასთან გაიხსნა სპორტული ინტერნატი. იგი კარგი სპორტული მონაცემების მქონე, პერსპექტივიანი მოსწავლეებისთვისაა გათვალისწინებული, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან აქ ჩამოსულნი.

ინტერნატი ჯერ კიდევ მოწყობის პროცესშია. ეს-ესაა გაიმართა საცხოვრებელი და სამეცადინო ოთახები, მოეწყო სასადილო და სამზარეულო, ლაგდება საექიმო კაბინეტები, იძენენ ბიბლიოთეკას. დადგინებისა და დადუღების მდგომარეობაშია ნიჭიერ მოზარდთა სპორტული მეცადინეობაც: ჯერ მხოლოდ ფეხბურთისა და მძლეოსნობის ჯგუფებს გამოეკვეთათ განსაზღვრული სახე, ხოლო ინტერნატისათვის გათვალისწინებულ დანარჩენ ორ სახეობაში — ტანვარჯიშსა და ცურვაში — ასეთი შედეგი ძიებისა და მოპოვების პროცესშია. სამაგიეროდ, ამ უმნიშვნელო დროში უკვე რამდენი რამ გამოვლინდა ისეთი, რომელიც ამთავითვე მეტყველებს სპორტული სკოლა-ინტერნატის არსებობის დიდ პერსპექტიულობაზე, მაღალნაყოფიერებაზე.

ამ აზრის დასადასტურებლად თუნდაც ლენინის სახელობის სტადიონის სპორტულ ბაზებს გადავხედოთ. იგი ამიერიდან მთლიანად ინტერნატის ნორჩ სპორტსმენთა განკარგულებაშია გადასული. აი, ფეხბურთელთა მეცადინეობის საათები. მათთან სპორტის ოსტატი გ. ჭუმბურიძე მუშაობს. ნორჩ ფეხბურთელებს ამთავითვე ეტყობათ სპორტის ამ სახეობისათვის საჭირო ძვირფასი თვისებები და მონაცემები: ფიზიკური ძალა, სისწრაფე, მოქნილობა, უეცრად შექმნილ სიტუაციაში ორიენტირების ალღო. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ინტერნატის კარი უბრალოდ ყოველი მსურველისათვის როდია ღია. სხვადასხვა შეჯიბრებაზე შერჩეული სპორტსმენები, სხვა მსურველებთან ერთად წარსდგებიან სპორტის გამოცდილ სპეციალისტთაგან შემდგარი კომისიების წინაშე, რომლებიც მათგან ხუკეთესობებ და მრავლისაღმთქმელ სპორტსმენებს არჩევენ. ამიტომაა, რომ ახლავე დიდ სიამოვნებას გაგრძნობინებთ ჩხოროწყუდან ჩამოსული 16 წლის ჭაბუკის — ლ. ჩარჩხალიას დაჯერებული, მონდომებული თამაში ცენტრალური მცველის რთულ როლში. თქვენს ყურადღებას მიიქცევს აგრეთვე ბოლნისელი ი. თაბაგარის, ლანჩხუთელი ვ. წილოსანის, გალელი ზ. ბულიას, ბათუმელი ვ. თოფურიას, სტალინირელი უ. მინდიაშვილისა და სიღნაღელი კ. ერიაშვილის კარგი საფეხბურთო მონაცემები, რომლებსაც ისინი წვრთნისა და თამაშის დროს ავლენენ. ეს ჭაბუკები, სისტემატური, სწორი ვარჯიშის პირობებში, უთუოდ მისცემენ ჩვენს ფეხბურთს საჭირო ცვლას. და განა მარტო ფეხბურთელები? აი, დუშეთიდან ჩამოსული ყმაწვილები ვ. გუდაშვილი და კ. გორძამაშვილი, ტყიბულელი გოგონა ი. ქასრიშვილი, ლანჩხუთელი ნ. აფხაზავა, ხაშურელი ა. სულავა, ზუგდიდელები ნ. ზარქუა და ჯ. სართანია — ესენი მძლეოსნობის მოყვარულნი არიან და ახლა გამოცდილი მწვრთნელის — ბ. ტახტაროვის ხელმძღვანელობით წარმატებით ეუფლებიან სპორტის ამ სახეობას.

მაგრამ საქმე მხოლოდ სპორტის დაუფლებით როდი ამოიწურება. ყმაწვილთა უპირველესი მოვალეობა სწავლაა და ამ მიმართებით მათ საგანგებო პირობები ექმნებათ. ყოველდღიური გაკვეთილების მოსამზადებლად მოსწავლე-სპორტსმენებზე გაპიროვნებულია სხვადასხვა საგნის რვა აღმზრდელ-მასწავლებელი. მათი ხელმძღვანელობით კეთილმოწყობილ და მყუდრო სამეცადინო ოთახებში ინტერნატის მკვიდრნი თანმიმდევრულად, სისტემატურად შეასრულებენ სასკოლო დავალებებს.

მხოლოდ ერთი თვეა მოქმედებს სპორტული ინტერნატი და ცხადია, მის საქმიანობაში, ცხოვრებაში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის მოგვარებული. ეს მომავლის საქმეა და იგი უთუოდ სრული წარმატებითაც დაგვირგვინდება, თუ სათანადო, გულისხმიერ დახმარებას ჰპოვებს. ფიზკულტურა და სპორტი კომკავშირის ღვიძლი საქმეა. ამიტომ, ეს სასარგებლო და ჩვენი სპორტის მომავლის ინტერესებით ნაკარნახევი წამოწყებაც კომკავშირის შეფობას, ენთუზიაზმსა და მხარდაჭერას მოითხოვს.

შ. ჯუღელი

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ

ლ. ᲩᲐᲠᲩᲮᲐᲚᲘᲐ

ჩხოროწყუს საშუალო სკოლაში სწავლასთან ერთად ვთამაშობდი რაიონის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში, რომელიც საქართველოს პირველობის III ჯგუფის მონაწილეა. სრულიად მოულოდნელად, ჩემმა ამ ორივე გატაცებამ თბილისში გადმოინაცვლა. რატომ? იმიტომ, რომ ორივე მათგანს აქ უფრო ფართო ჰორიზონტი გადაეშალა.

რასაკვირველია, ჩემი ეს ადგილგადანაცვლება მძაფრ განცდებთან იყო დაკავშირებული: დავშორდი სახლს, სკოლას, ამხანაგებს, სპორტულ მეგობრებს. გული შემტკივა ჩემს გუნდზედაც, რომლის წევრებთან ერთად რამდენჯერ გამიზიარებია გამარჯვების სიხარულიც და დამარცხების წყენაც.

მაგრამ ამ გულისტკივილს მინელებს ის მშვენიერი პერსპექტივა, რომელიც მე და ჩემს ახალ მეგობრებს გადაგვეშალა — დედაქალაქის სკოლაში სწავლა, საუკეთესო სპორტულ მოედნებზე წვრთნა, გულისხმიერი, მოსიყვარულე მწვრთნელის ხელმძღვანელობით ესოდენ საყვარელ სპორტულ საქმიანობაში დახელოვნება!

ყოველივე ეს დიდი პატივია და მე მას დაუზარელი სწავლით და მონდომებული წვრთნით ვუპასუხებ.

Ი. ᲥᲐᲡᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მე ხშირად ვკითხულობდი გაზეთებს და ვიტყობდი, რომ საქართველო კარგ მძლეოსანთა კადრებს საჭიროებს. ეს გარემოება მეც მაწუხებდა, ვინაიდან სპორტის ამ სახეობის მოყვარული და მაშასადამე, გულშემატკივარიც ვარ.

ამ სიყვარულის შედეგი იყო, რომ სკოლის მძლეოსანთა სექციაში ჩავეწერე და მასწავლებლის ხელმძღვანელობით სისტემატურ წვრთნასაც მივყევი ხელი. ასე გასინჯეთ, მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე მე ჩემი მშობლიური ქალაქის — ტყიბულის სპორტული ღირსების დაცვაც მომიხდა.

ცნობამ იმის შესახებ, რომ საშუალება მეძლევა თბილისში დავეუფლო ამ მიმზიდველ სახეობას ისე, რომ აქვე განვაგრძო სწავლა, ჩემში დიდი სიხარული გამოიწვია. ამიტომ, დაუყოვნებლივ გამოვემგზავრე აქეთ და ამთავითვე გატაცებით შევუდექი ორივე მოვალეობის შესრულებას.

კ. ᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სიღნაღში სპორტის ბევრი მოყვარულიც დავტოვე და ეს პატარა წერილიც მთდამი მოწოდებით მინდა დავიწყო: ბიჭებო! ვისაც ძალა გერჩით და თავის იმედი გაქვთ, ჩამოდით და სპორტულ ინტერნატში ჩარიცხვა სცადეთ. 1 სექტემბრიდან ჩვენი სკოლა კიდევ უფრო კარგად მოეწყობა და სწავლაც, წვრთნაც და ცხოვრებაც კიდევ უფრო კარგ პირობებში მოგვიხდება. და მერე იცით, რას ნიშნავს ეს? სწავლაში და სპორტში დამეგობრებულნი ერთ ოჯახად შევკავშირდებით. ჩვენ — ინტერნატის ფეხბურთელებს უკვე გვაქვს ასეთი კოლექტივი. სულ ორი-სამი კვირაა ერთმანეთი გავიცანით და უკვე ძმებივით ვართ.

* * *

სურათზე: ზემოთ — ქიმიის მასწავლებელი ე. მაღალაშვილი ატარებს გაკვეთილს. ქვევით — მძლეოსნობის მწვრთნელი ბ. ტახტაროვი (შუაში) ახსნავს ბავშვებს სტარტზე დადგომის ტექნიკას.

ფოტო ა. აბაშიძისა.

სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ნიჭიერ ბავშვთაგან სპორტის მომავალ ოსტატთა აღზრდა, რისთვისაც რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ პერსპექტიულ მოსწავლე-სპორტსმენთათვის გახსნილია სპეციალური ინტერნატი. ინტერნატის სპორტულ საქმიანობას ხელმძღვანელობენ: სპორტული ნაწილის უფროსი ამხ. კ. ბიბილური, მწვრთნელები—ბ. ტახტაროვი, გ. ჭუმბურიძე, გ. დათაძე და სხვები.

სკოლას მშვენიერი სასწავლო და სპორტული მატერიალური ბაზა აქვს. ეს გარემოება და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

პირველი კონტიგენტი სკოლამ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან სულ მცირე ხნის წინ მიიღო. ამჟამად აქ სწავლობს 500 მოსწავლე, ხოლო სკოლასთან არსებულ ინტერნატში ცხოვრობს რესპუბლიკის რაიონებიდან ჩამოსული 100 მოსწავლე. სკოლა-ინტერნატის აღმზრდელები გულმოდგინედ მუშაობენ, არ ზოგავენ შრომასა და ენერგიას იმისათვის, რომ აღსაზრდელები ერთ მთლიან კოლექტივად გააერთიანონ.

მაგრამ ამ ძნელ და საპატიო საქმეს, ცხადია, მხოლოდდამხოლოდ ჩვენი ძალები და მონდომება არ ეყოფა მით უმეტეს — დაწყებითი, დასაფუძნებელი პერიოდი მრავალი სიძნელეებითაა აღსავსე. მართალია, მომავალი 1958-59 სასწავლო წლის 1-ლი სექტემბრიდან სკოლას გაცილებით გაუუმჯობესდება პირობები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე გულხელდაკრეფილნი ვისხდეთ და არსებულ ხარვეზებს არ ვებრძოდეთ. მათ შორის აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლას არ გააჩნია საკუთარი ტანვარჯიშული დარბაზი და კლუბი. ამ საკითხის მოგვარება საშუალებას მოგვცემს იჯარისათვის განკუთვნილი თანხა მთლიანად მოსწავლეთა სხვა საჭიროებებს მოვახმაროთ. სკოლის ეზოში კი თავისუფლად შეიძლება დარბაზისა და კლუბის აშენება. კეთილმოწყობასა და გაფართოებას საჭიროებს ინტერნატის შენობაც. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მეტი ფიზიკური დატვირთვის მქონე ბავშვებს მეტი კვება და უკეთესი რეჟიმის შექმნა სჭირდებათ. ეს და კიდევ სხვა მრავალი წვრილმანი თუ მნიშვნელოვანი საკითხი, სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს და მათი მოგვარებისათვის ჩვენ ზემდგომი ორგანოების ფართო, ყოველმხრივი დახმარება გვჭირდება.

სკოლის პედაგოგიური და სპორტსმენ-აღმზრდელთა კოლექტივი მასზე დაკისრებული მაღალი მოვალეობის შეგნებითაა გამსჭვალული და ძალასა და ღონეს არ დაიშურებს მისი ღირსეული შესრულებისათვის.

დ. შენგელია,
თბილისის 35-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით თბილისში, 35-ე საშუალო სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური საშუალო სკოლა სპორტული განხრით. მისი სპორტულ-აღმზრდელობითი მუშაობის პროფილში შედის მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფეხბურთი და ცურვა.

ᲚᲝᲜᲓᲘ

მე-2 გვ. № 52 (1222)



დ. კელი ხ. გრიტენდენი დ. დინი ჰ. შმიდტი

აშშ — საქართველო • აშშ — ესტონეთი

„კრიუკს“ — მოწინააღმდეგის კალათის ალების ეფექტურ საშუალებას ხშირად იყენებდნენ ამერიკელები. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკელ პალმერს სროლის დროს.

მარჯვნივ — ამერიკელი თავდამსხმელი სროლის დროს. ბურთი მას თითებით უჭირავს და მხოლოდ მტევნის მოძრაობით სტყორცნის კალათისაკენ.

ყოველ გუნდს ჰყავს ერთი ორგანიზატორი, რომელიც გონებამახვილურად „დირიჟორობს“ თავდასხმის მოქმედებას. მარცხნივ სურათზე თქვენ ხედავთ ამერიკელთა „დირიჟორს“ ალენ კელის. ქვემოთ — ნერა უაიტი, გასული წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელი. მას ამხანაგები ხუმრობით „ბოის“ ეძახიან, რაც ბიჭს ნიშნავს. ეს სახელი კარგად განსაზღვრავს უაიტის თამაშის მანერას.

ფოტოები მ. ზარგარიანისა.



ამინდმა თავის კაპრიზები სწორედ თამაშის წინ დაიწყო, მაგრამ კალათბურთის მოყვარულთა მრავალთასიანი არმია ჯიუტად ელოდა ბუნების მოწყალებას. იმედის მომცემი ცნობები მოდიოდა ამინდის პროგნოზების ბიუროდან და ზოგმა optimისტმა სადღაც ცისარტყელაც კი დაინახა. სტადიონზე ამ დროს კი წვიმდა, შეუბრალებლად წვიმდა და მოედანს თამაშისათვის რაც შეიძლება უვარგისს ხდიდა.

ბოლოსდაბოლოს გამოიდარა, უფრო სწორად კი წვიმა შეწყდა და თამაშის ჩატარება ასე თუ ისე შესაძლებელი გახდა. მრავალრიცხოვანი „რკინისნერვების“ მჭონე მაყურებლების მჭუხარე ტაშის ქვეშ მოედანზე გამოვიდნენ შეერთებული შტატებისა და საქართველოს კალათბურთელთა გუნდები.

პირველ წუთებში ტემპზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. სპორტსმენები მოედანზე მოძრაობდნენ ისე, როგორც შენელებული გადაღების დროს ხდება ხოლმე კინოში. სველი, მოპრიალებული მოედანი არაჩვეულებრივად აძნელებდა ტექნიკური მოძრაობის შესრულებას და თუ ამას დავუმატებთ ტემპიანი თამაშის შეუძლებლობას, ცხადი გახდება, რომ მასპინძელთა სწრაფი და მოძრავი გუნდი თავდანვე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ტანმაღალ ამერიკელთა წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ანგარიში თბილისელებმა წაიყვანეს კილაძის საჯარიმო სროლის შემდეგ. ამერიკელმა ბორნმა გაათანაბრა იგი, მაგრამ მალე კილაძემ შორ მანძილიდან სროლით კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. მესამე წუთზე ანგარიში ამერიკელებს მიჰყავდათ — 5:3, სამი წუთის შემდეგ კი მასპინძლებს — 9:7.

მე-11 წუთზე სტუმრები 5 ქულით დაწინაურდნენ. სწორედ ამ დროს ბორნი შეცვალა ჰოლდერსონმა (№ 4), რომელიც შემდგომში შეხვედრის „გმირი“ გამოდგა, ამერიკელები თანდათან შეეჩვიენ სველ მოედანს და უფრო გაბედულად იწყეს თამაში. გადმოჭქონდათ რა ნელი ბურთი ჩვენს ნახევარზე, თავდამსხმელები კარგად იკავებდნენ საჭირო პოზიციებს მოედნის კუთხეებში და იქიდან შეუცდომლად ესროდნენ კალათში. ეს იყო ამერიკელთა პირველი უპირატესობა, რომელმაც განსაზღვრა მათი გამარჯვება შემდგომში. გარდა ამისა, სტუმრები ჩვენს კალათბურთელებზე გაცილებით უკეთ მუშაობდნენ ფარქვეშ და ორივე კალათის „საჰაერო“ მისადგომებს მტკიცედ აკონტროლებდნენ. პირველი ნახევარი მოიგეს შეერთებული შტატების კალათბურთელებმა 28:17.

20 წუთის მანძილზე სტუმრების გუნდის ყველა წევრმა თითქმის თანაბარი ქულა აიღო: ბორნმა — 6, ჰოლდერსონმა — 7, ბოუშკამ — 6, დ. კელიმ — 4, ჩვენთან, პირველ ნახევარში ყველაზე შედეგიანი კილაძე გამოდგა. მან გუნდს 5 ქულა მისცა. ახალგაზრდა უგრეხელიძემ — 4 და ლეკავამ (მან მე-14 წუთზე შეცვალა აბაშიძე) — 3. საგულისხმოა ისიც, რომ ამერიკელები გაცილებით მეტს ესროდნენ კალათში, ვიდრე საქართველოს კალათბურთელები. პირველ ნახევარში მათ 12-ჯერ აიღეს ქულა თამაშიდან და მხოლოდ 4 საჯარიმოთი, ჩვენმა გუნდმა კი — 7 თამაშიდან და 3 საჯარიმოთი.

შეხვედრის მეორე ნახევარი ჰოლდერსონის ბენეფისი იყო. იგი იმდენად ოსტატურად და მაღალტექნიკურად ასრულებდა გვერდით სროლებს (ე. წ. მარჯვენა და მარცხენა „კრიუკებს“), რომ შეუძლებელი იყო მისი დაკავება. დაფარებით ასეთ „კრიუკს“ ვერ უვნებელყოფ. შაშ რით შეიძლებოდა ჰოლდერსონის „გამოთიშვა“? მხოლოდ ბურთის მიღებაში ხელის შეშლით, მაგრამ არც ეს იყო ოღი ამოცანა.

მოედანზე ინწკირველის გამოსვლამ ოდნავ გამოაცოცხლა თამაში, მაგრამ გამოცოცხლება ერთია და შედეგი კი სხვა. ამ უკანასკნელს კი სროლების გარეშე ვერ მიაღწევ. ჩვენი კალათბურთელები ცოტას ესროდნენ კალათში ბურთის დაკარგვის შიშით. ამერიკელები კი მოურიდებლად „ბომბავდნენ“ ჩვენს კალათს და საკმაოდ შედეგიანადაც. ამერიკელებმა მოიგეს მატჩი (59:41) და გვიჩვენეს, რომ კალათბურთში წარმატების მიღწევა შეიძლება მეტად უბრალო გზით — ზუსტი, შეუცდომელი სროლებით.

რას აკეთებდნენ სტუმრები განსაკუთრებულს? რა იყო მათ თამაშში არაჩვეულებრივი? ყოველ ამერიკელ კალათბურთელს აქვს თავისი წერტილები მოედანზე, საიდანაც ისვრის შეუცდომლად, იბრძვის ფარქვეშ მოურიდებლად, ოდნავ გამმწვევადაც კი, იშვიათად თუ ვერ იყენებს საჯარიმო სროლას. ეს არის და ეს. სტუმრებს აქვთ აგრეთვე ზოგიერთი დახვწილი ტექნიკური დეტალი. მაგალითად, გადაცემების, ან სროლების შესრულება მხოლოდ ხელის მტევნების მოძრაობით და ა. შ. ესე იგი, ყველაფერი ის, რასაც მიაღწევს კალათბურთელი ბეჯითი და გულმოდგინე წვრთნის შედეგად.

აღნიშნულ თამაშში მაყურებელი ინწკირველის, კილაძის, აბაშიძის, მინაშვილის რამდენიმე მაღალტექნიკური გადაცემის, ძნელი მდგომარეობიდან ბურთის კალათში ჩაგდების მოწმე იყო, რასაც უმაღლესი კლასის კალათბურთელი თუ შეძლებს მხოლოდ. მაგრამ [illegible] სროლებზე მიდგებოდა, [illegible] კალათბურთელებმ [illegible] ლებში. წარმატების მიღწევა ყველას შეუძლია — თუ მასზე ვარჯიშს მოანდომებ დიდ დროს და ენერგიას.

ყურადღებას იპყრობდა ისიც, რომ სტუმრები, განსაკუთრებით კი მაღალი ტანის კალათბურთელები, ფიზიკურად ყოველმხრივ მომზადებულნი იყვნენ. სწორედ ამიტომ, კრიტიკულ მომენტში დაცემის წინ, ყოველთვის ახერხებდნენ ისინი წონასწორობის შენარჩუნებას. რამდენიმე სიტყვა საჯარიმო სროლებზეც, რომელსაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თამაშში. უნდა ითქვას, რომ ჩვენი სპორტსმენები ამ ელემენტარულ, ანბანურ „სირთულეს“, უმეტესად წარუმატებლად იყენებენ. აღტაცებაში მოხვალთ გურამ აბაშიძის ჩაგდებული ბურთით და გაგიკვირდებათ, როგორ გაუბედავად, წარუმატებლად ასრულებს იგი საჯარიმო სროლებს. სამწუხაროდ, აბაშიძე ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენს.

• • •

ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა გუნდის წინააღმდეგ შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა ესტონეთის ნაკრები, რომელსაც აღდა ცენტრალური თავდამსხმელი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ოტსა (მას მოსკოვში თამაშის დროს ტრავმა მიუღია). ესტონელებმა გაუბედავად დაიწყეს თამაში, რის გამოც ინიციატივა ხელთ იგდეს ამერიკელებმა. პირველი ნახევარი ბალტიისპირეთის გუნდმა წააგო — 12:23.

მეორე ნახევარში ესტონელები გათამაშდნენ, ალღო აუღეს მოწინააღმდეგეს და ენერგიულად იწყეს ანგარიშში განსხვავების შემცირება. გააქტიურდნენ კულამი, კიტსინგი და ვიარკი, მაგრამ დრო უკვე აღარ ითმენდა. ამერიკის გუნდმა მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 43:34.

გუშინ შეერთებული შტატების სპორტსმენთა დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა.

ნ. გუგუშვილი



27 აპრილს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

პირველი ჯგუფი

I ზონა

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა მიიღო ქუთაისის „ტორპედო“. მატჩი მოიგეს ქუთაისელებმა ანგარიშით — 3:1.

ლანჩხუთში თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლმეურნე“ და ფოთის გუნდი. მასპინძლებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით — 2:0.

საინტერესო გამოდგა მატჩი ჭიათურაში ადგილობრივ გუნდსა და ბათუმის „დინამოს“ შორის. ჭიათურელებმა დიდი მონდომებით ითამაშეს და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით—4:2. აღსანიშნავია, რომ ყველა ბურთი ჭიათურის გუნდიდან გაიტანა გ. ჩაჩანიძემ (№ 9).

მახარაძის „კოლმეურნემ“ თავისი მორიგი მატჩი ჩაატარა სამტრედიაში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ. რკინიგზელთა კარში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა მახარაძელებს.

ზუგდიდში თამაშობდნენ „ოდიში“ (ზუგდიდი) და „სხივი“ (რუსთავი). სტუმრებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ერთადერთი ბურთი და გაიმარჯვეს ანგარიშით — 1:0.

II ზონა

რუსთავის „მეტალურგი“ სტალინირში შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“. თამაში დამთავრდა „მეტალურგის“ გამარჯვებით ანგარიშით — 2:0.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით ჩატარდა მათი მატჩი გორის „განთიადთან“. ტრამვაელებმა მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით — 6:1.

სოხუმის „დინამომ“ თავის მოედანზე მიიღო თელავის „სპარტაკი“. სოხუმელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 8 ბურთი ხოლო თავისაში მიიღეს მხოლოდ 1.

საინტერესოდ ჩატარდა მატჩი თბილისში ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდსა და ქუთაისის „დინამოს“ შორის. გამარჯვება მოიპოვეს ქუთაისელებმა — 4:3.

არც ერთი ბურთი არ ყოფილა გატანილი ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ქობულეთის „კოლმეურნის“ გუნდების შეხვედრაში, რომელიც შედგა თბილისში.

მეორე ჯგუფი

I ზონა. „იმერეთი“ (ზესტაფონი)-„განთიადი“ (წყალტუბო) — 3.0, ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-ადგილ. მრეწვ. სამმართველოს გუნდი (ქუთაისი) — 1:1, „ცისკარი“ (ბათუმი)-„განათლება“ (დიდი ჯიხაიში) — 3:0.

II ზონა. „გუდაუთა“ (ნაკრები)-„ბახმარო“ (ჩოხატაური) — 2:1, „კოლმეურნე“ (გაგრა)-„კოლხიდა“ (ხობი) — 0:0, „განთიადი“ (ტყვარჩელი)-„სპარტაკი“ (ცხაკაია) — 1:4.

III ზონა. „დურუჯი“ (ყვარელი)-„ჩანჩქერი“ (ბორჯომი) — 0:0, „ტორპედო“ (თბილისი)-„ლოკომოტივი“ (ხაშური) — 3:3, „კოლმეურნე“ (გურჯაანი)-ახ. საფეხ. სკოლა II — 0:2, ადგილ. მრეწვ. სამმართველოს გუნდი (თბილისი)-„კოლმეურნე“ (ბოლნისი) — 0:0.

IV ზონა. „სტროიტელი“ (რუსთავი)-„შრ. რეზერვები“ (თბილისი) — 3:2, შახტი № 1 (ახალციხე)-სკვო I (თბილისი) — 1:2, „წინანდალი“ (თელავი)-„რემობუვი“ (თბილისი) — 4:2, „კოლმეურნე“ (ქარელი)-„თრიალეთი“ (წალკა) — 2:0.



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 მაისისათვის

ძირითადი შემადგენლობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	7	4	3	0	19:7	11
„ლოკომოტივი“	7	3	4	0	10:4	10
„ტორპედო“	7	3	4	0	18:8	10
„დინამო“ კ.	7	2	5	0	15:9	9
ცსკ მო	7	3	2	2	11:6	8
„დინამო“ მ.	8	3	2	3	12:8	8
„შახტიორი“	7	2	2	3	4:7	6
„კრ. სოვეტოვი“	6	1	3	2	5:7	5
„ზენიტი“	6	1	3	2	4:8	5
„დინამო“ თბ.	6	2	1	3	7:18	5
„მოლდოვა“	6	0	3	3	5:13	3
„ადმირალტ“.	6	0	0	5	6:21	0

⊙ **მოსკოვი. 30 აპრილი.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები ცსკ მო და „დინამო“.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ—0:0.

ჩვენი ეროვნული გაბრიელები





(დასასრული)

გამოვიდნენ „ვოდნიკის“ სპორტსმენები, რომლებიც პირველი დღის შემდეგ ლიდერობდნენ რა შეჯიბრებას, საშუალება მისცეს „განთიადს“ წამოწეოდნენ, ხოლო „ბურევესტნიკს“ ერთ ქულამდე შეემცირებინა განსხვავება.

ამ დღეს პროგრამის ხუთი სახეობიდან მხოლოდ თითო პირველი ადგილი მოიპოვეს „ვოდნიკისა“ და „განთიადის“ ნიჩბოსნებმა. პირველები უძლიერესები აღმოჩნდნენ ერთმოსასმელიანი ბაიდარით ქალთა შორის 500 მეტრზე. ლ. სლინიავჩუკმა (2.33,8) წამის ერთი მეათედით ჩამოიტოვა უკან საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ლ. ნასყიდაშვილი. სამაგიეროდ სპორტის ოსტატმა ხ. ჩილინგარიდმ („განთიადი“) ერთხელ კიდევ ცხადყო თავისი უპირატესობა ერთმოსასმელიანი კანოეთი 10 კილომეტრზე. იგი შესანიშნავად ანაწილებს ძალებს.

დადგა შეჯიბრების უკანასკნელი გადამწყვეტი დღე, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ბრძოლის სიმძაფრე. ამ დღის პროგრამაში იყო ვაჟებისათვის ერთადგილიანი კანოე 1000 მეტრზე, ორადგილიანი კანოე და ოთხადგილიანი ბაიდარი 10 კილომეტრზე, აგრეთვე ესტაფეტა 4×500 მეტრზე, როგორც ქალებს, ისე ვაჟებისათვის.

კანოეს არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად ამისა, საქართველოს სპორტსმენებს კარგად აუთვისებიათ ნიჩბოსნობის ეს რთული სახეობა. განსაკუთრებით ძლიერად გამოიყურებოდნენ „განთიადის“ წარმომადგენლები, რომლებმაც როგორც ერთ (ნ. რაზმაძე), ისე ორმოსასმელიანი (ა. ბერიძე, ლ. ხამხამაძე) კანოეთი რბოლაში არავის დაუთმეს პირველობა და საგრძნობლად ჩამოიტოვეს უახლესი კონკურენტები „ბურევესტნიკის“ გუნდის წარმომადგენლები. ა. ცანავა, ა. აფხაზავა და თ. ცოტაძე.

„ვოდნიკის“ სპორტსმენებმა ამ დღეს დაკარგეს პირველი ადგილის მოპოვების ყოველგვარი შანსი. ეჭვს ქვეშ დადგა მეორე ადგილის ბედიც. მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ისინი გამარჯვებას ვარაუდობდნენ ოთხმოსასმელიანი ბაიდარით 10.000 მეტრზე. მოლოდინი გამართლდა. ოთხეულმა — ძმებმა ნ. და გ. ბაიდანოვებმა, ლ. გლოკმა და გ. ჭედიამ, რომლებიც გასული წლის ჩემპიონები არიან, თანმიმდევრულად განვლეს აღნიშნული მანძილი და შეძლეს პირველი ადგილის მოპოვებით მეორე ადგილზე განემტკიცებინათ თავიანთი კოლექტივი.

შეჯიბრება ახალი სისტემით

დამთავრდა თბილისის პარადგუნდური პირველობის პირველი ტური სპორტულ ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა პირველობებში გამარჯვებული კოლექტივები.

განვლილ შეჯიბრებაში გამოდიოდნენ „დინამოს“, „შრომითი რეზერვების“, „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ უძლიერესი ძირეული კოლექტივები. ბრძოლა მათ შორის დამთავრდა „დინამოს“ № 9 რაიონის ტანმოვარჯიშეთა გამარჯვებით. მეორე ადგილზეა „სპარტაკი“ („საქფოტოს“ ძირეული კოლექტივი).

არ შეიძლება რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა არ გავაკეთოთ შეჯიბრების მონაწილეთა შესახებ. არც ერთი სპორტსაზოგადოების გუნდი არ იყო დაკომპლექტებული სრული შემადგენლობით მაშინ, როცა შეჯიბრებაზე სპორტსაზოგადოებანი ფაქტიურად ნაკრები გუნდების სახით მონაწილეობდნენ. მაგალითად, „შრომითი რეზერვების“ ქალთა ესტაფეტაში პირველ და მეორე ეტაპებზე ლიდერობდნენ „ვოდნიკის“ წარმომადგენლები, მაგრამ შემდეგ „განთიადის“ გუნდის წევრებმა განსაკუთრებით მეოთხე ეტაპზე ლ. ნასყიდაშვილმა არა მარტო შეძლო ჩამორჩენის გამოსწორება, არამედ 2,3 წამით მიასწრო ფინიშთან მოწინააღმდეგეს. ვაჟთა ესტაფეტაში გამარჯვებულები გამოვიდნენ „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლები.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და ჩვენი გაზეთის ჯილდო მოიპოვეს „განთიადის“ ნიჩბოსნებმა.

ა. ლომაია,
ო. გელაშვილი.

* * *

სურათებზე: ერთმოსასმელიანი და ორმოსასმელიანი კანოე დისტანციაზე.

პირველობაზე მონაწილეობა მიიღო სულ 13-მა ტანმოვარჯიშემ ... ქალაქ [illegible] ... ბამ აქედან 11 წარმოადგინა [illegible] ... ლიადაც [illegible] ... ბა ძირეულ კოლექტივებს შორის „ლოკომოტივს“. მართალია, „სპარტაკმა“ მეორე ადგილი დაიკავა ქალთა რაოდენობით, მაგრამ საზოგადოების ნაკრები გუნდი არ შეიქმნა იყოს რომელიმე ძირეული კოლექტივის მუშაობის მაჩვენებელ, თუნდაც „საქფოტოსი“.

შეიძლება ითქვას, რომ ტანმოვარჯიშეთა პირადი შედეგები გასულ პერიოდთან შედარებით უკეთესია (განსაკუთრებით ოსტატთა პროგრამით მონაწილეთა შორის), მაგრამ ყველა თანრიგში მონაწილე 73 ტანმოვარჯიშიდან 12-თანრიგოსანი მაინც მცირე პროცენტია.

ქალთა შორის ოსტატთა პროგრამით პირველ ადგილზე გამოვიდა ე. ქაჯაია (71,0 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან დინამოელი მ. ნინოშვილი (70,8 ქულა) და ფიზიკურ კულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ხახუბია (70,75 ქულა).

ვაჟთა შორის პირველი იყო დინამოელი ოსტატი ო. ქორქია (104,8 ქულა). მას 4 ქულით ჩამორჩა ამავე საზოგადოების წარმომადგენელი გ. გრომოვი, ხოლო მესამე ადგილზე გამოსულმა ზ. გვეტაძემ („სპარტაკი“) დააგროვა 99,95 ქულა.

ბოლოს არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმასაც, რომ შეჯიბრებას არ ესწრებოდნენ სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელები, რომლებსაც ალბათ ეს არ მიაჩნიათ საქმიროდ.

თ. სანებლიძე,
თბილისის ტანვარჯიშის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ლაშქრობა ქვათახევში

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტმა მოაწყო ორდღიანი ლაშქრობა ქვათახევში. ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ ფაკულტეტის მოწინავე სპორტსმენები, ალპინისტები ვ. ქართველიშვილი, კ. მეტრეველი და ო. ქიშმარეიშვილი. ლაშქრობა ჩატარდა მარშრუტით: თბილისი-მცხეთა-კასპი - კავთისხევი-წინარეხი- ქვათახევი-თბილისი. ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 22-მა სტუდენტმა.

ეს საინტერესო ლაშქრობა სტუდენტებმა მიუძღვნეს კომკავშირის მე-40 წლისთავს.

გ. ძინძიბაძე

... ბურთი ... ბურთში



ჩამოვიდნენ გაქცეული მოჰადრაკეები

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ბაქოს მოჰადრაკეთა ნაკრები გუნდი. საღამოს რესპუბლიკურ საჰადრაკო კლუბში მოეწყობა ამხანაგური მატჩის საზეიმო გახსნა.

ბაქოს გუნდის შემადგენლობაში არიან ოსტატი ს. ხალილბეილი, ოსტატობის კანდიდატები დ. აბაკაროვი, რ. ამირხანოვი, ვ. ბაგიროვი, პირველთანრიგოსნები ლ. ბაგდატიევი, ი. მაიზელი, ო. პავლენკო. ქალები ტ. ზატულოვსკაია, ტ. გორბულევა და ნ. ივანესოვა; თბილისის გუნდში არიან ოსტატები ბ. გურგენიძე, მ. შიშოვი, ჰ. კასპარიანი, ა. ბუსლაევი, ოსტატობის კანდიდატები ა. ბლაგიძე, თ. გიორგაძე, პირველთანრიგოსნები გ. მაჭავარიანი, ქალები: მ. ტოგონიძე, ე. კაკაბაძე და ნ. გაფრინდაშვილი.

გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ორჯერ 1-2 მაისს, ხოლო 3 მაისს მოხდება გადადებული პარტიების დამთავრება და მატჩის საზეიმო დახურვა.

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონი, 2 მაისი

◆

ფეხბურთი
„შახტიორი“ (შახტი)
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)—
დასაწყისი 17 საათზე.

რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან ადამიანის ერთგულ მსახურსა და მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სპორტულ სახეობას? — იკითხავს გაოცებული მკითხველი.

ამ ცოტა ხნის წინათ ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა პროფესიონალური ფეხბურთელის, ბრაზილიელი იეზუ ამალფის ჩანაწერები. ბრაზილიელი სპორტსმენი გულახდილად წერს იმის შესახებ, რაც მან წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნების პროფესიონალურ გუნდებში ყოფნისას განიცადა.

ამალფიმ თავისი სპორტული კარიერა დაიწყო ბრაზილიის ერთ-ერთ კლუბ „სან-პაოლოში“. აქედან იწყება მისი მოგზაურობა სამხრეთ ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა გუნდებში. ჯერ იგი თამაშობდა არგენტინის „ბოკა იუნიორსში“ შემდეგ ურუგვაის „პენაროლში“, ევროპაში ამალფიმ თავისი კარიერა დაიწყო საფრანგეთის „ნიცაში“, მას მოჰყვა იტალიაში გამგზავრება. აქ იგი ჯერ თამაშობს „ტურინში“, შემდეგ „მონაკოში“. იტალიიდან კვლავ საფრანგეთის „რესინგში“. ამჟამად იეზუ ამალფი თამაშობს საფრანგეთის „რედ სტარში“.

გუნდს, რომელშიც ამჟამად ამალფი თამაშობს „პატარა უსიამოვნება“ შეხვდა: მოწინააღმდეგისაგან ქრთამის აღებისათვის, მთელი გუნდი დისკვალიფიცირებულ იქნა.

ამალფი მეტად აღელვებულია ამ ფაქტით. მას უკვირს თუ რა იყო აქ განგაშის ასატეხი: „ჩვენთან, სამხრეთ ამერიკაში ქრთამი ჩვეულებრივი მოვლენაა, — წერს იგი. — ქრთამს აძლევენ ცალკეულ მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, მთელ გუნდებს“.

ბრაზილიაში, მაგალითად, იმდენად ხშირია მსაჯების მოსყიდვის ამკარა ფაქტები, რომ იძულებული არიან მიმართონ მეტად ორიგინალურ ხერხს. ღამით, მომავალი თამაშის წინ ერთიდაიმავე დროს აფრთხილებენ სამ მსაჯს მოსალოდნელი მსაჯობის შესახებ. თამაშის დაწყების წინაწუთებში სამივე მსაჯი გამოდის მოედანზე და სახალხოდ ხდება კენჭისყრა, რის შედეგადაც ერთ-ერთი რჩება მოედანზე და სჯის მატჩს. მაგრამ ბრაზილიელებმა მაინც იპოვეს გამოსავალი: ხშირად ხდება, რომ ქრთამს იღებს სამივე მსაჯი და ხანდახან ორივე მხრიდანაც კი.

„რომელიმე გუნდიდან პრემიის მიღება, — აცნობებს მკითხველს ამალფი. — ჩვეულებრივი ამბავია და ეს ჩვენში არავითარ საიდუმლოებას და უცხო ამბავს არ წარმოადგენს. მე ვერ გამიგია, რატომ ასტეხეს განგაში, როდესაც „რედ სტარმა“ ასეთ ჩვეულებრივ ხერხს მიმართა“.

ამალფის თავის ჩანაწერში მრავალი კურიოზული მაგალითი მოჰყავს პროფესიონალ ფეხბურთელთა ცხოვრებიდან. აი, ზოგიერთი მათგანი. ბრაზილიის ნაკრები გუნდის წევრის კაკსამბუს ჰქონდა მეტად უცნაური ჩვევა; ყოველი თამაშის წინ იგი მიირთმევდა კატის ბიფშტექსს. ამ „წმიდა ტრაპეზის“ შესრულების დროს არავის ჰქონდა უფლება დალაპარაკებოდა ან შეეხედა კაკსამბუსათვის. ფეხბურთელის აზრით, ამ კერძის მირთმევის შემდეგ იგი მოედანზე იძენდა მისთვის საჭირო ცხოველურ თვისებებს.

იგივე კაკსამბუს კიდევ ერთი ჩვევა ჰქონდა. თამაშის წინაღამეს იგი გამოდიოდა გარეთ, უყურებდა მთვარეს და თან რაღაცას ბუტბუტებდა. ამ „საუბრისას“ იგი „იგებდა“ თუ რა ფერის სავარჯიშო კოსტუმი უნდა ჩაეცვა მას, რომ გუნდს მოეგო. კაკსამბუსთვის სპეციალურად ატარებდნენ ერთ ჩემოდანს, რომელიც სხვადასხვა ფერის კოსტუმებით იყო სავსე.

არანაკლები კურიოზები ხდებოდა ბრაზილიის „ბოტაფოგოში“. ამ გუნდის წევრს მაკაიეს ერთ ღამეს ესიზმრა ჭელი ძაღლი, რომელსაც ბედნიერების მოტანა შეეძლო მისთვის და მთელი გუნდისათვის. მეორე დღესვე შეეძინა მაკაიეს ძაღლი, რომელიც გავდა სიზმრაში ნახულს. პატრონმა მას ბირიბა დაარქვა და თავის თილისმად გაიხადა.

ერთ-ერთი მატჩის დროს მაკაიე სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე იჯდა. აქვე იყო მისი ბირიბაც. „ბოტაფოგო“ 1:2-ს აგებდა. ამ დროს ბირიბამ შემოურბინა მოედანს, დაყნოსა კუთხური ალმები. გუნდს თითქოს ძალა მოემატა, მოწინააღმდეგეს შეუტია და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2-ზე.

იგივე განმეორდა შემდეგ მატჩზე და მაკაიეს გარდა მთელი გუნდი დარწმუნდა ბირიბას სასწაულმოქმედ თვისებებში.

როდესაც „ბოტაფოგო“ თამაშობდა „ფლამენგოსთან“ და ანგარიში იყო 3:1 მოწინააღმდეგის სასარგებლოდ, ბირიბამ უარი თქვა თავის ტრადიციულ გასეირნებაზე. მაშინ აღელვებული მაკაიე გამოვარდა მოედნიდან და ძაღლს შეეკედრა: „გამოდი საჩქაროდ ჩემო დიადო ძაღლო!“... პატრონის ძახილზე ერთგულმა ძაღლმა შეასრულა „რიტუალი“. „ბოტაფოგომ“ მატჩი 5:3-ზე მოიგო. „საოცრება, საოცრება, ეს მართლაც ჯადოსნური ძაღლია“ — ერთხმად აღიარებდნენ მწვრთნელი და კლუბის პრეზიდენტი.

ბირიბა გუნდის წევრთა სიაში შეიყვანეს, მას ეძლეოდა ჯამაგირი, პრემიები.

1948 წელს ბირიბა და მისი პატრონი ჩამოშორდნენ ფეხბურთს. „ამ ხნიდან — აღნიშნავს ამალფი — „ბოტაფოგამ“ ვერც ერთხელ ვერ შეძლო პირველობის მოგება“.

აი, თურმე როგორ იგებს ძაღლი თამაშებს! — დაასკვნის ამალფი. ახლა იგი მეორე ჯგუფის გუნდში თამაშობს. მისმა ვალმა ამჟამად ხუთ მილიონ ფრანკს მიაღწია. მან როგორც იქნა შეძლო ვალის გადახდა ვადის ათი წლით გაგრძელება და იგი ახლა ყოველ თვეში ორმოცათასამდე ფრანკს იხდის. ამჟამად იეზუ ამალფი ოცდა ათი წლისაა. შეძლებს კი იგი კიდევ ათ წელიწადს თამაშს? ვინ იცის?

გ. გორისელი

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთ. გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ულბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89 62, პ.-მეგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90 34, მორიგისა და გამომშვებლის — 3-01 06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02444